

ახალი ტექნოლოგიები კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და პოპულარიზაციისთვის:

იტალიური გამოცდილება

ვორქშოპი თემაზე:

21-ე საუკუნის მუზეუმის დაპროექტება და მართვა

თბილისი, საქართველო, 2019 წლის 28 იანვარი

საქართველოს ეროვნული მუზეუმი, აუდიტორიუმი, ფურცელადის ქ. 1

აბსტრაქტი: ვორქშოპი მიმართულია იმ თემების განხილვისაკენ, რომლებიც დაკავშირებულია ახალი ტექნოლოგიების დანერგვასა და მუზეუმის კონტექსტში ახალი მიდგომების დამკვიდრებასთან. განსახილველი საკითხები:

- როგორ გავავრცელოთ კონტექსტუალური ინფორმაცია? იმ ორიგინალური კონტექსტის მნიშვნელობა, რომელშიც ობიექტების გამოყენება და მათი მეშვეობით სიამოვნების მიღება ხელს უწყობს დამთვალიერებლის მიერ ნანახის უფრო მართებულად ჩაწვდომასა და აღქმას.
- ახალი ტექნოლოგიები, როგორც ინსტრუმენტი წარმოდგენილი ობიექტების სწორად აღქმისათვის გაწეული ძალისხმევის შესამცირებლად.
- როგორ მოვაქციოთ ობიექტები კონტექსტში ახალი მოწინავე ტექნოლოგიური გადაწყვეტილებების მეშვეობით ისე, რომ რეკონსტრუირებული გარემო ტრივიალურად არ იქცეს?
- როგორ შეუძლია ახლებურ დიზაინსა და მოწინავე ტექნოლოგიებს გაზარდოს მუზეუმის მიზიდველობა, რომელიც ამავდროულად მორგებული იქნება დამთვალიერებელთა განსხვავებულ ასაკობრივ კატეგორიებზე?
- როგორ გავაანალიზოთ და შევაფასოთ ახალი ტექნოლოგიების როლი დამთვალიერებელთა რაოდენობის ზრდასა და მათი მოლოდინების დაკმაყოფილებაზე?
- როგორი იქნება მუზეუმი 50 წლის შემდეგ? რა როლი ექნება გამოსახულების, მონათხრობისა და ახალი ტექნოლოგიების პირისპირ დარჩენილ დამთვალიერებელს?

პროგრამა

09.30 – 10.00 მონაწილეთა რეგისტრაცია

10.00 – 10.20 გახსნითი სესია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურის და სპორტის მინისტრი მიხეილ ბატიაშვილი

საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში

იტალიის ელჩი ანტონიო ბარტოლი

10.20 – 12.05 პანელი

10.20 – 10.30 პანელის თავმჯდომარის, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორის დავით ლორთქიფანიძის მისალმება „საქართველოს ეროვნული მუზეუმი: წარსული, აწმყო, მომავალი“

10.30 – 11.50 პრეზენტაციები

10.30 – 10.50 დავიდ დესმეტი (Goppion) „Goppion - სადაც ერთმანეთს ხვდება კონსერვაციის კონსტრუირება და წარდგენა-პრეზენტაციის ხელოვნება“

10.50 – 11.10 ენრიკო ფერარისი (ტურინის ეგვიპტური მუზეუმი) „მუზეუმის ხელახალი გამოგონება. ტექნოლოგიური რენესანსი“

11.10 - 11:30 მარკო მანი (ბიურო Guicciardini&Magni): „არქიტექტურის მნიშვნელობა: განახლებული მუზეუმი „ოპერა დელ დუომო“ და სხვა წარმატებული პროექტები“

11.30 - 11:50 ალფონსინა პაგანო (ITABC-CNR, კვლევების ეროვნული საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ტექნოლოგიათა ინსტიტუტი): „ვირტუალური მუზეუმები: სამომხმარებლო გამოცდილების (UX) დიზაინი“

11:50 - 12:50 დისკუსია

12.50 დასკვნითი ნაწილი

მომხსენებელთა ბიოგრაფია და მათი ორგანიზაციების პროფილი

პირველი მომხსენებელი: დავიდ დესმეტი (Goppion)

დავიდ დესმეტი, განათლება მიიღო ისეთ უმაღლეს სასწავლებლებში, როგორცაა ISCID-CO (ბიზნესის საერთაშორისო სკოლა, საფრანგეთი) და „Australian Pacific College“ (სიდნეი). მუშაობდა საფრანგეთში, ესპანეთსა და ავტრალიაში ისეთ განსხვავებულ სფეროებში, როგორცაა საერთაშორისო გადაზიდვები, სამომხმარებლო ელექტრონიკა და ბაზრის კვლევა. აქვს ლონდონის სხვადასხვა სადაზღვევო-საბროკერო კომპანიებში საერთაშორისო სამმენებლო და ინფრასტრუქტურულ პროექტებზე მუშაობის ცხრაწლიანი გამოცდილება.

2017 წელს დაიწყო მუშაობა კომპანია „Goppion“-ში გაყიდვებისა და მარკეტინგის კოორდინატორად, საერთაშორისო დონეზე კომპანიის საქმიანობის გაფართოებისა და ცნობადობის გაზრდის მიზნით. მონაწილეობა მიიღო პროექტებში, რომლებიც კომპანია „Goppion“-მა განახორციელა ბრიტანეთის მუზეუმისა და ხელოვნების სამეფო აკადემიისთვის (ლონდონი), ოსლოს ეროვნული მუზეუმისა და ქაიროს ეგვიპტური ანტიკურობის მუზეუმისათვის, სხვ.

Goppion (<http://www.goppion.com/>), იტალიური საინჟინრო კომპანია, რომელსაც მსოფლიოში მოწინავე ადგილი უკავია საექსპოზიციო ვიტრინების წარმოებისა და ინსტალაციის სფეროში. ოცდაათწლიანი გამოცდილების მქონე კომპანიამ, რომელიც მსოფლიოს უდიდეს მუზეუმებთან და სახელგანთქმულ არქიტექტორებთან თანამშრომლობს, დაწერა ინოვაციური მიდგომა მონალიზას პორტრეტის (პარიზი, ლუვრი) და ბრიტანეთის მონარქების სამეფო საგანძურის (ლონდონი, თაუერი) საექსპოზიციო ვიტრინებისთვის, ასევე, ლონდონში ბრიტანეთის მუზეუმისა და ვიქტორიისა და ალბერტის მუზეუმის, ბოსტონის სახვითი ხელოვნების მუზეუმის, ვაშინგტონსა და ნიუ-იორკში სმიტსონის ინსტიტუტის მუზეუმების გალერეებისთვის. კომპანიის მიერ წარმოებული საექსპოზიციო ვიტრინები შექმნილია როგორც საკუთრივ ობიექტების, ასევე, დამთვალიერებლების უსაფრთხოების ყველაზე საიმედო სტანდარტების დაცვით და აღჭურვილია უაღრესად დახვეწილი სისტემებით. ეს სისტემები უზრუნველყოფს მუზეუმის პერსონალისთვის ექსპონატის მაქსიმალურ ხელმისაწვდომობას, ჰაერის ხარისხის დაცვასა და კლიმატის კონტროლს კონსერვაციის საუკეთესო პირობების შესაქმნელად, განათებას ექსპონატის იდეალურად საჩვენებლად.

მეორე მომხსენებელი: **ენრიკო ფერარისი (ტურინის ეგვიპტური მუზეუმი)**

ენრიკო ფერარისი, ტურინის ეგვიპტური მუზეუმის კურატორი და გრძელვადიანი კვლევითი პროგრამის „TT 8 Project“-ის კოორდინატორი (პროგრამის მიზანია 1906 წელს იტალიური არქეოლოგიური მისიის მიერ აღმოჩენილი კხასა და მერიტის სამარხის დასაკრძალი აღჭურვილობის შესწავლა).

ტურინის ეგვიპტური მუზეუმი (<https://www.museoegizio.it/>), ეგვიპტოლოგიის დარგში სიდიდითა და მნიშვნელობით მსოფლიოში მეორე მუზეუმი ეგვიპტეს ფარგლებს გარეთ. ქ. ტურინში 1824 წელს დაფუძნებული მუზეუმის მთავარ საქმიანობას ფართო სპექტრის გრძელვადიანი სამეცნიერო კვლევები და საგანმანათლებლო ფუნქცია წარმოადგენს.

2004 წლიდან სახელმწიფოს კუთვნილი კოლექციების მართვა გადაეცა არაკომერციულ ფონდს „ტურინის ეგვიპტურ სიძველეთა მუზეუმს“, რაც გახლდათ კერძო სექტორის მონაწილეობით მუზეუმის მართვის პირველი შემთხვევა იტალიაში. 2015 წლის 1 აპრილს ეგვიპტური მუზეუმი დამთავალიერებლის წინაშე განახლებული სახით წარსდგა - 50 მილიონის ღირებულების მქონე პროექტის ფარგლებში ხუთწლიანი სარესტავრაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ გაიხსნა მე-17 საუკუნის შენობა, სადაც მუზეუმი დაფუძნების დღიდან მდებარეობს. მუზეუმის საგამოფენო სივრცე (საერთო ფართობით 12000კვ.მ) ითვლის 5 სართულზე განლაგებულ 15 დარბაზს, სადაც განთავსებულია 3500-ზე მეტი ექსპონატისგან შემდგარი მუდმივი გამოფენა, 5700-ზე მეტი ექსპონატი კი წარმოდგენილია „მატერიალური კულტურის გალერეაში“. მუზეუმის დროებითი საექსპოზიციო სივრცე 600კვ.მ-ს შეადგენს.

მესამე მომხსენებელი: **მარკო მანი (ბიურო Guicciardini&Magni)**

მარკო მანი (დაბ. 1962წ.), არქიტექტორი, ფოტოგრაფი, დიზაინერი. სწავლობდა არქიტექტურას ფლორენციაში, სადაც ამჟამად ცხოვრობს და მუშაობს.

2003 წლიდან, პიერო გვიჩარდინისა და ნიკოლა კაპეცუოლისთან ერთად, არქიტექტურული ბიუროს „Guicciardini & Magni Architects“ წევრია. ბიურო ჩართულია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სხვადასხვა პროექტებში, რომლებიც დაკავშირებულია მუზეუმებთან, თეატრებთან, აუდიტორიუმებსა და ბიბლიოთეკებთან.

მარკო მანიმ, გამოცდილმა არქიტექტორ-დამპროექტებელმა და ხელოვნების სხვადასხვა დარგების შერწყმის მომხრემ, ბიუროს პროექტებში არქიტექტურისა და საექსპოზიციო სივრცეთა დაგეგმარება-დიზაინის საკუთარი ხედვა დანერგა.

2004-2007 წლებში მარკო მანი იყო ფლორენციის უნივერსიტეტის დიზაინის ფაკულტეტის პროფესორი, ამჟამად კითხულობს ლექციებს (როგორც იტალიაში, ასევე უცხოეთში) გამოფენების დიზაინის შესახებ.

Guicciardini&Magni (<http://www.guicciardinimagni.it/>), არქიტექტურული ბიურო, რომელიც მონაწილეობს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის პროექტებში, არქიტექტურის, რესტავრაციის, მუზეუმის მოწყობისა და ინტერიერის დიზაინის კუთხით.

1990 წლიდან შეიქმნა 40-ზე მეტი სამუზეუმო და 60 დროებითი გამოფენა იტალიასა და უცხოეთში, შემუშავდა ისეთი ექსპოზიციები, რომლებიც სრულიად განსხვავებულ სფეროებთანაა დაკავშირებული: არქეოლოგიიდან თანამედროვე ხელოვნებამდე, ინდუსტრიული დიზაინიდან კლასიკურ ხელოვნებამდე, ეთნოგრაფიიდან მოდამდე.

განხორციელებულ სამუზეუმო პროექტებს შორისაა:

პროექტი „რიშელიე - ბიბლიოთეკები, გალერეები, მუზეუმი“ (პარიზი, საფრანგეთი)
 ხელოვნების, არქიტექტურისა და დიზაინის ეროვნული მუზეუმი (ოსლო, ნორვეგია)
 პიზის კათედრალის მუზეუმი (პიზა, იტალია)
 თექფურის სასახლე (სტამბული, თურქეთი)
 ფლორენციის კათედრალის მუზეუმი (ფლორენცია, იტალია)
 ტოფკაფეს სასახლის ოსმალური ხელოვნების მუზეუმი (სტამბული, თურქეთი)
 ნეაპოლის არქეოლოგიური მუზეუმის ეგვიპტეს განყოფილება (ნეაპოლი, იტალია)
 გალილეოს მუზეუმი (ფლორენცია, იტალია)
 ტექსტილის მუზეუმი (პრატო, იტალია)
 ბიურო, რომლის სათაო ოფისი ქ. ფლორენციაში მდებარეობს, აერთიანებს 7 მთავარ არქიტექტორს, 14 უფროს არქიტექტორს და ახალგაზრდა დამხმარე არქიტექტორთა ჯგუფს.

მეოთხე მომხსენებელი: **ალფონსინა პაგანო (ITABC-CNR, კვლევების ეროვნული საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ტექნოლოგიების ინსტიტუტი)**

ალფონსინა პაგანო, კვლევების ეროვნული საბჭოს კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ტექნოლოგიათა ინსტიტუტის (ქ. რომი) მეცნიერ-თანამშრომელი, რომლის კვლევის საგანია სამომხმარებლო გამოცდილება (UX). 2008 წელს მიიღო მილანის ლინგვისტიკისა და კომუნიკაციათა უნივერსიტეტის ბაკალავრის წოდება ხელოვნების ბაზრის კომუნიკაციასა და მენეჯმენტში, 2012 წელს მიიღო იტალიური შვეიცარიის უნივერსიტეტის (ლუგანო, შვეიცარია) მაგისტრის წოდება კომუნიკაციის თეორიაში, კერძოდ, კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ტექნოლოგიურად გაუმჯობესებულ კომუნიკაციაში. ახლახან მიიღო მეორე, ნეაპოლის უნივერსიტეტის მაგისტრის წოდება საჯარო ინსტიტუციების კომუნიკაციაში. მონაწილეობს სოციალურ მედია-ღონისძიებებში, 2013 წლიდან „ინტერაქციული დიზაინის ფონდის“ წევრია. გამოქვეყნებული აქვს ადამიანი-კომპიუტერის ინტერაქციასა და პედაგოგიკასთან დაკავშირებული ნაშრომები. პაგანოს ინტერესების სფერო მოიცავს, აგრეთვე, ტრანსმედიურ პროექტებს, რომლებიც მიზნად ისახავს ციფრული აპლიკაციებით სარგებლობის, სამომხმარებლო გამოცდილების (UX) დიზაინის, ციფრული სთორითელინგის სტრატეგიებისა და ვირტუალური მუზეუმების სფეროში გამოყენებული კოგნიტიური მაჩვენებლების კვლევას.

კვლევების ეროვნული საბჭო (CNR, www.cnr.it) იტალიის უმსხვილესი და უმნიშვნელოვანესი კვლევითი დაწესებულებაა, რომლის მიზანია მეცნიერების უმთავრეს დარგებში კვლევათა წარმართვა, პოპულარიზაცია და გავრცელება და, აგრეთვე, ამ ცოდნის გამოყენება ქვეყნის სამეცნიერო, ტექნოლოგიურ და სოციალურ განვითარებაში. საბჭოში გაერთიანებულია 4000-ზე

მეტი მკვლევარ-მეცნიერი და 1500 ტექნიკოსი. საბჭოს ქსელი ითვლის იტალიის ტერიტორიაზე არსებულ 100-ზე მეტ ინსტიტუტს და შედგება 7 თემატური დეპარტამენტისგან, რომლებიც თითქმის ყველა სამეცნიერო-კვლევით სფეროს მოიცავს.

კულტურული მემკვიდრეობის სფეროში ტექნოლოგიათა ინსტიტუტის (ITABC, <http://www.itabc.cnr.it/>) კულტურული მემკვიდრეობის ვირტუალური ლაბორატორიის საქმიანობა მიმართულია ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებისაკენ არქეოლოგიასა და კულტურული მემკვიდრეობის სფეროში. ლაბორატორია მუშაობს პროექტებზე, რომლებიც დაკავშირებულია გეოინფორმაციული სისტემების კვლევასა და დანერგვასთან, ლანდშაფტის, არქეოლოგიური ძეგლებისა და არტეფაქტების ვირტუალურ რეკონსტრუქციასთან, რომლის მიზანია ისტორიული პროცესების ასახვა იმერსიულ გარემოში ინტერაქციის მეშვეობით.